აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე პროცენტის დარიცხვის მიზნით მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები

1. კონკურსის საგანი

1.1. <u>კონკურსის საგანია:</u> **სამინისტროს ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა.**
1.2. **საპროცენტო სარგებელი - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.**

2. პირობები

2.1. დარიცხული საპროცენტო სარგებელი გადაირიცხება სახელმწიფო ხაზინაში (ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი:300913011).
2.2. დღის ბოლოს ანგარიშზე არსებულ ნაშთ(ებ)ს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ყოველ კალენდარულ თვეს ორ ნაწილად შემდეგი პრინციპით:
ა) საპროცენტო სარგებლის პირველი ნაწილის დარიცხვა განხორციელდება კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღის წინა დღის ჩათვლით და შემდგომ ამ თანხ(ებ)ის გადარიცხვა მოხდება ამავე კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღეს სახელმწიფო ხაზინაში;
ბ) საპროცენტო სარგებლის მეორე ნაწილის დარიცხვა განხორციელდება კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღიდან მოყოლებული ამავე კალენდარული თვის ბოლო კალენდარული დღის ჩათვლით და შემდგომ ამ თანხ(ებ)ის გადარიცხვა მოხდება შემდგომი კალენდარული თვის პირველივე სამუშაო დღეს სახელმწიფო ხაზინაში.
2.3.. გამარჯვებული საბანკო დაწესებულება იღებს ვალდებულებას სამინისტროს გაუწიოს ხარისხიანი საბანკო მომსახურება წინარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების და დამატებით შემოთავაზებული მომსახურების შესაბამისად.

3..საბანკო მომსახურება

3.1. ანგარიშების გახსნა - უფასო;
3.2. ანგარიშის მომსახურების საკომისიო - უფასო;
3.3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავი დაწესებულებების კორპორაციული მიმდინარე ანგარიშის გახსნა და მომსახურება - უფასო:
3.4. ნაღდი თანხის ანგარიშზე შეტანა-გატანა - უფასო;
3.5. თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;
3.6. თანხის გადარიცხვა უცხოურ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;
3.7. ამონაწერის მიღება - უფასო;
3.8. ინტერნეტ ბანკის პროგრამაში რეგისტრაცია - უფასო;
3.9. ინტერნეტ ბანკის პროგრამაში მომსახურება - უფასო;
3.10. ინტერნეტ ბანკით აქტიური ოპერაციების წარმოება - უფასო;
3.11. SMS მომსახურება - უფასო.

4. სხვა პირობები

4.1.კონკურსში გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა გამარჯვებული აფორმებს სამინისტროსთან ხელშეკრულებას საბანკო მომსახურების შესახებ;

4.2.ხელშეკრულება ძალაშია კონკურსის ჩატარების მიმდინარე წლის ბოლო სამუშაო დღეს და მისი მოქმედების ვადა ამოიწურება მომდევნო წლის ბოლო სამუშაო დღის წინა დღეს.
4.3.ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელი იქნება:
- მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- საქართველოს კანონმდებლობით და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
4.4. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.